ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №21

2014 წლის 28 მარტი,
ქ. ბათუმი

ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის**“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად 2014 წლის 28 მარტს გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საპროცედურო და საკონკურსო კომისიები **დანართი 1** და **დანართი 2**-ის შესაბამისად;
2. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 29 აპრილიდან 20 მაისის ჩათვლით და 20 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით.
3. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების სამუშაო არ ანაზღაურდება;
4. საკონკურსო კომისიებს ეთხოვოს სამეცნიერო ცენტრში ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №39 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს **2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიეროპერსონალის სამსახურში მიღების წესის**“ შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება;
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

საპროცედურო კომისიის შემადგენლობა

1. ნანა ჯაბნიძე
2. რუსუდან დუმბაძე
3. ლია ქოიავა

დანართი 2.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. დავით ბარათაშვილი - ბიოლოგიის დოქტორი, პროფესორი.
2. გალინა მეფარიშვილი–ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, ბიომრავალფეროვნებისა და ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის მცენარეთა დაავადებების, მონიტორინგისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების უფროსი.
3. მარიამ მეტრეველი - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიტოპ. და ბიომრ. ინსტ. სამეცნ.საბჭოს თავ-რე.
4. გია ბოლქვაძე - მთავარი მეცნიერ-თნამშრომელი, ფიტ. და ბიომრ. ინსტ.
5. ეთერ ჯაყელი–ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი. უფროსი მასწავლებელი.